




ბიულეტენი

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
ყოველთვიური საინფორმაციო ორგანო

№9-10 (51-52) სექტემბერი-ოქტომბერი 2011 წელი



წმ. დიმიტრი მადგენელი

ჰანტუზანის უბეჯუი



„ხსოვნისა და იხილის ღვა“



ჩამი, ჩოღესაყ ვინ და მოინანიო ყველა დაშვებულდი შეცდომა და უფლის სიუცვის ვან და სხვა ანაფენი შეისმინო...

იხიოუზნის უაძრის ისტორიიდან

„XX საუკუნის დასაწყისისთვის ქართლ-კახეთში ცნობილი იყო სამი წმინდა ადგილი, რომლებიც იმ ჩვილბავშვიან დედებს მფარველობდა, რძე რომ არ ჰქონდათ. ერთი თბილისის ახლოს, უძოს მთაზე მდებარე ეკლესია გახლდათ, მეორე — წყარო მცხეთის ჯვრისაკენ მიმავალ გზაზე, მესამე კი — კახეთის მონასტერი. ეს მონასტერი ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა და გურჯაანის სამხრეთით, ქალაქიდან სამი კილომეტრის მოშორებით, კახეთის ხევის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. VIII-IX საუკუნეებში აგებული ტაძარი XVII საუკუნეში აღუდგენიათ. სწორედ ამ სახით მოაღწია მან ჩვენამდე. კახეთის ხევს, მონასტრის სახელის გავლენით, ყოვლადწმიდის ხევისაც ეძახიან.

ამბავი, რომელიც 1878 წელს ჩაუნერია სოფლის მცხოვრებთაგან ლეო-მელიქსეთ-ბეგს, იმ მიზეზზე გვიამბობს, რომლის გამოც რძენაკლული დედები დღემდე სასოებით მოდიან ტაძრის მოსალოცად და ღვთის დიდი მოწყალებით განკურნებულნი ბრუნდებიან.

ძველად, როცა კახეთში სამონასტრო ცხოვრება ჩქეფდა, აქ უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ მლოცველები, რათა თავიანთი ეცათ ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატისათვის. ერთხელ მაცნემ ამბავი მოიტანა, მტრის რაზმი გვიანლოვდებო. ტაძარში მყოფმა მრევლმა და ბერებმა სამალავებს შეაფარეს თავი. შემთხვევით გარეთ დარჩა მხოლოდ ქალი, რომელიც ჩვილს ძუძუს აწოვებდა. მტერი მონასტერს უახლოვდებოდა. ბედკრულმა დედამ აქეთ-იქით დაიხედა სირბილი. უეცრად ტაძრის კედელი გაიხსნა და ქალი დამალა. მალე დედამ იგრძნო, რომ რძე ეღვრებოდა. რძემ კედელი დაასველა და გარეთ გამოჟინა. ტაძრის ჩრდილოეთის კედელზე დღემდე ჩანს თეთრი ლაქები.

მონასტრის თავდაპირველი მფლობელის ვინაობა ისტორიულ წყაროებს არ შემოუნახავს. ცნობილია, რომ XVII საუკუნის დასაწყისში იგი ანდრონიკაშვილებს ეკუთვნოდათ. ბრძოლაში, რომელსაც მეფე თეიმურაზ I დიდოელთან წინააღმდეგ აწარმოებდა, დაიღუპა უშვილო თავადი ჯანო ანდრონიკაშვილი. მისი კუთვნილი მამულები კახეთის მონასტრითურთ თეიმურაზმა ერთგულ თავადს, მართლმადიდებლობისთვის თავდადებული მებრძოლის ზაქარია

ალავერდელის ძმას ნოდარ ჯორჯაძეს უწყალობა.

ამის შემდეგ მონასტერმა სახე იცვალა. ახალმა პატრონმა სავანე აღადგინა, მოახატინა და ღვთისმშობლის ძვირფასი ხატი შესწირა.

თვითონ ნოდარ ჯორჯაძე შთამომავლობითურთ კახეთის მონასტერში განისვენებს. შემორჩენილია სამი საფლავის ქვა. ერთი თავად როსტომ ჯორჯაძეს (1832 წ.) ეკუთვნის. დანარჩენ ორზე წარწერები არ იკითხება.

ტაძარში, როგორც ზემოთაღვთვით, დავანებული ყოფილა ივერთა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი, რომლის შესახებ გაზეთი „ივერია“ 1889 წელს წერდა: „დახატულია კაკალზედა, მთლად მშვენივრად დაჩუქურთმულ ოქროში ზის. იმდენი ოქრო აქვს ამ ხატს, რომ სიმძიმით თითქმის ათ გირვანქაზე მეტი იქნება. ეს ხატი სიმაღლით ათი გოჯი იქნება, სიგანით — შვიდი“.

ამ ხატის შესახებ საინტერესო ამბავს მოგვითხრობს დეკანოზი პოლიევქტოსი (კარბელაშვილი, 1937 წ.).

1615 წლის შემოდგომაზე ხმა გავარდა, შაჰ-აბასის ლაშქარი კახეთისკენ მოემართებო. კახეთის მონასტრის წინამძღვარმა მამა იოანემ ბერები შეკრიბა. მამებმა გადაწყვიტეს, მონასტერი არ მიეტოვებინათ, ხოლო სინინდები მიწისქვეშა საცავებში გადაემალათ. იმ ღამეს მამა იოანეს ღვთისმშობელი ეჩვენა და უბრძანა, სასწაულთმოქმედი ხატი კახეთიდან ერთი კილომეტრის მოშორებით, წამებულის მონასტრის წმინდა გიორგის ტაძრის სვეტში დაემალათ. ბერებმა მეორე დღითვე აღასრულეს დედა ღვთისას ნება.

ცეცხლითა და მახვილით შემოიჭრა კახეთში შაჰ-აბასი. მრავალი მონასტერი სამუდამოდ დატყვევდა და დაინგრა. დარბევას ვერც კახეთის მონასტერი გადაურჩა.

200 წლის შემდეგ, XIX საუკუნის დასაწყისში, მონასტერში მცირერიცხოვანი საძმო მოღვაწეობდა ილუმენ გაბრიელის წინამძღვრობით. ბერები დიდხანს ეძებდნენ ხატს მონასტრის საფლავებში, მაგრამ უშედეგოდ. ერთ ღამეს ილუმენს ყოვლადწმიდა ქალწული გამოეცხადა და უბრძანა, ამა და ამ ადგილას ვარ დატყვევებული და გამომიყვანეთო.

ილუმენმა მეორე დღესვე დაიბარა ვეჯინის ამალების მონასტრის წინამძღვარი იოსტოსი (ერისკაცობაში — თავადი ანდრონიკაშვილი, 1823 წ.), გურჯაანის მთავარანგელოზის ტაძრის წინამძღვარი მამა აბრაამი (დემუროვი) და სამღვდელოებისა და მრავალრიცხოვანი მრევლის თანხლებით წამებულის მონას-

ტრისკენ გაემართა. ტაძრის შიდა სვეტს ჩრდილოეთიდან მიადგეს კიბე, გამოიღეს აგურები, ამოაბრუნეს ღვთისმშობლის ხატი და საზეიმოდ სვლით გადააბრძანეს კახეთის მონასტერში.

მონასტერი დაცარიელდა 1845 წელს, როცა ბერები იქვე ახლოს მდებარე ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს. წელიწადში ორჯერ — ღვთისმშობლის მიძინების დღესა და ტაძრის დღესასწაულზე (ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს) — ღვთისმშობლის ხატს საზეიმოდ მიაბრძანებდნენ კახეთში, სადაც უამრავი მლოცველი მიდიოდა ხატის თავყვანსაცემად.

XX ს-ის 20-იანი წლებიდან ამ ტაძრებში ღვთისმსახურება შეწყდა.

ჩვენ შევეცადეთ, მივყოლოდით ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის კვალს და მისი დღევანდელი ადგილსამყოფელი დაგვედგინა. როგორც ირკვევა, XX ს-ის 20-იან წლებში, როდესაც ბოლშევიკებმა ტაძრების დარცხვრება დაიწყეს, ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიის მახლობლად მცხოვრებმა ერთ-ერთმა ოჯახმა ტაძრის ხატებისა და სინინდების ნაწილი შესანახად წაიღო. „მერე, როცა განსაცდელმა ჩაიარა, გადაწყვიტეთ, რომ უკვე შეიძლებოდა, სინინდენი ტაძარში დაგვებრუნებინა. ასე რომ, მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები, დაფარები და შანდლები ძველ ადგილას დავაბრძანეთ. შინ დავიტოვეთ მხოლოდ ერთი ხატი. იმ დროისათვის ტაძრის შემოგარენი ღრეობისა და გართობის ადგილად იყო ქვეული. ორიოდე წლის შემდეგ ერთ-ერთ ხატზე ნატყვიარი გაჩნდა, ხოლო რამდენიმე დღეში ხატები საერთოდ გაქრა“.

როგორც აღვნიშნეთ, ამ ხატებიდან ერთ-ერთი ღვთისმშობლისა იყო. აღწერილობით, ის ძალზე წააგავს მონასტრის ცნობილ სასწაულთმოქმედ ხატს და შესაძლებელია სწორედ ის იყოს.

იმედს ვიტოვებთ, რომ ხატს დღემდე ინახავს რომელიმე მორწმუნე ოჯახი, რომ დედა ღვთისა კვლავ იწებებს გამოჩინას და ღვთის დიდი მოწყალებით კვლავაც მრავალ სასწაულსა და კურნებას აღასრულებს.

კახეთის მონასტრის ტაძარი წარმოადგენს ორგუმბათიან ბაზილიკას და მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება. საინტერესოა, რომ სხვა ორგუმბათოვანი ტაძრებიც — მსოფლიო არქიტექტურის იშვიათი ნიმუშები — დაახლოებით ამავე პერიოდით თარიღდება, თუმცა ასეთი ტოლფასი გუმბათები სხვაგან

(გაგრძელება მე-4 გვ.)

ძამი, როდესაც ვინ და მოინანიო ყველა დაშვებული შეცდომა და უფლის სიწყვის ვინ და სხვა აწაფენი შეისმინო...

(დასაწყისი მე-3 გვ.)

არსად გვხვდება. ტაძრის სამხრეთით, შესასვლელის პირდაპირ, მიწის ქვეშ, ყოფილა კამაროვანი ოთახი, საიდანაც, მოსახლეობის გადმოცემით, ვეჯინის ამალღების მონასტერში მიმავალი გვირაბი იწყებოდა. სხვა ვერსიით, გვირაბი ჩადიოდა ხევში, წყაროსთან.

1993 წლის ნოემბერში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ტაძარში ღვთისმსახურება აღდგა. თანდათან დაიწყო სამონასტრო ცხოვრების აღორძინებაც. (ჟურნალი „კარიბჭე“, № 3 (14), 2005 წ.)

სექტემბრის მზიან და თბილ დღეს მომლოცველთა ჯგუფი — წმ. სამების ტაძრის მღვდელმსახურის, დეკანოზ ბიძინა გუნას მრევლი მოძღვართან ერთად გურჯაანში, საოცარ სიმშვიდესა და მწვანეში ჩაფლულ პატარა ტაძარს, ორგუმბათოვან ბაზილიკას — კახთუბნის მონასტერს ვეწვიეთ.

მამა ბიძინას მრევლისათვის ეს პირველი მოლოცვითი მოგზაურობა როდი იყო. აქ უკვე ტრადიციად დამკვიდრდა წმიდა ადგილების მონახულება და თავყვანისცემა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

რუსულან ზეითურში, მრევლი:

„- მამა ბიძინას მრევლი ვარ სოლოლაკის ამალღების ტაძრის წინამძღვრად მისი კურთხევის დღიდან. ჩვენი მოძღვრის წინადადებითა და წინამძღოლობით დავინყეთ თბილისში და საქართველოს მასშტაბით ეკლესია-მონასტრების მოლოცვა. შემოდგომასა და გაზაფხულზე ყოველთვის დავდივართ. ვიყავით წალკაში, ქუთაისში, მონამეთაში, მოვიარეთ რაჭა მთლიანად, ვიყავით ნილკანში,

ბოდბეში, ბეთანიაში. ახლახან ვიყავით გურჯაანში და ვემზადებით მარტილში წასასვლელად. ჩვენი მოძღვარი ძალიან ზრუნავს ჩვენზე. შეიძლება ითქვას, რომ ნული კლასიდან დაგვანყებინა და უნდა საშუალო დაგვამთავრებინოს. როგორც წერა-კითხვას ვსწავლობთ გოგებაშვილის „აი იათი“, ასევე დაგვანყებინა მამა ბიძინამ და უნდა ითქვას, რომ ძალიან მრავალრიცხოვანი მრევლი ჰყავს. ამ მოლოცვითი მოგზაურობებით, ჯერ ერთი, საქართველოს ყველა კუთხეს ვეცნობით, ვეცნობით ჩვენი ქვეყნის ისტორიას, საეკლესიო ისტორიას და ეს ჩვენთვის არის ძალიან დიდი მადლი. არ მინდა კვენხაში ჩამომერთვას, მაგრამ სამებაშიც კი გვითხრეს, რომ მამა ბიძინას მრევლი გამოირჩევა იმ წეს-ჩვეულებების ცოდნით, რასაც მოითხოვს ეკლესია. მრევლიც ყველანაირად ვცდილობთ მხარში დაუდგეთ ერთმანეთს მორალურადაც და მატერიალურადაც, როგორც შეგვიძლია.

რაც შეეხება გურჯაანს, მე ვიცოდი ორგუმბათოვანი ტაძრის შესახებ, მაგრამ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. იქ შესულს თავი სულ სხვა სამყაროში მეგონა. კულმინაცია იყო მეუფის დალოცვა. თავად მოძღვრის ქადაგების დროსაც იგრძნობოდა ის მოკრძალება, რაც ეკლესიას შეეფერება. ეს შთაბეჭდილება ძალიან დიდხანს გამყვება.“

შორენა განაჩელია, მრევლი:

„- 18 სექტემბერი ერთ-ერთი განსაკუთრებული დღეა ჩემს ცხოვრებაში. გურჯაანი. ყველანაირად მიძღვრის მიერ ჩატარებული წირვა, წირვის შემდეგ ქადაგების მოსმენა. ეს საოცრებაა, ტაძრის წინამძღვარი უფლის სიტყვებით გვარიგებდა და სწორ გზას გვიჩვენებდა, ამ დროს ტირილამდე ბედნიერი ხარ,

იმითომ, რომ გრძნობ, უფალი შენთანაა. ლოცვის შემდეგ კი მეუფე ექვთიმეს დალოცვა. ეს არის ის სულიერი საზრდო, რომელიც თითოეულ ჩვენგანს სჭირდება და რომლის შემდეგაც სიკეთის, მიტევების გარდა სხვა არაფრის დანახვა და გაკეთება არ გასურს.

საოცარი განცდა მქონდა, ტაძრიდან გამოსვლა გამიჭირდა, თითოეული ხატი ისმენდა ჩემს ლოცვა-ვედრებას და მანუგეშებდა. მაგრამ იყო მაცხოვრის ხატი, რომელსაც ვერ ვივინყებ, ხატის წინ ცრემლები თავისით მოდიოდა, ხატს თვალს ვერ ვუსწორებდი, საკუთარი თავის მრცხვენოდა, მაცხოვრის მზერაში იგრძნობოდა ის ტკივილი და განსაცდელი, რომელიც ჩვენი ცოდვების მოსანანიებლად გადაიტანა. ტირილამდე გინდება მოინანიო ყველა დაშვებული შეცდომა და უფლის სიტყვის გარდა სხვა არაფერი შეისმინო. ეს ყველა მართლმადიდებელმა უნდა ნახოს და განიცადოს...“

მადლობა უფალს, რომ ასეთ ღამეზე ქვეყანაში გაგვჩინა, სადაც ამდენი წმინდა სალოცავი გვაქვს და თითოეულის მოლოცვა უდიდესი სულიერი საზრდოა, რომლის გარეშე რთული იქნებოდა ყოველდღიურ პრობლემებთან გამკლავება. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ღვთის წყალობით შევქელი და მოვილოცე ერთ-ერთი ულამაზესი ტაძარი.“

წირვის დასრულების შემდეგ მამა ბიძინამ მრევლი აზიარა, შემდეგ კი ყველანი დაგვლოცა გურჯაანისა და ველისციხის ეპისკოპოსმა ექვთიმემ (ლეჟავა). ტრაპეზის შემდეგ სიღნაღისაკენ გავემართეთ, დავათვალიერეთ ისტორიული ქალაქი და სულიერად ამალღებულნი დავბრუნდით თბილისში.

„ხსოვნისა და იმედის დღე“

27 სექტემბერი — ჯვართამალღების დღე სრულიად საქართველოსათვის ამავე დროს არის დღე სოხუმის დაცემისა, დღე, როდესაც მრავალი ათასი ადამიანი იძულებული გახდა მიეტოვებინა თავისი კერა, ახლობელთა საფლავები და საკუთარ ქვეყანაში ხიზნად ქცეულიყო. ძალზე მძიმეა დევნილის ხვედრი, როდესაც ბოლო 18 წელი იმის იმედით იღვიძებ, რომ რაღაც შეიცვლება, რომ სიზმრადქცეულ აფხაზეთს დაუბრუნდები, მაგრამ მწარე რეალობა გაფხიზლებს და გაიძულელებს თვალი გაუსწორო სინამდვილეს

— აფხაზეთი სულ ახლოსაა, აქვე, ხელის ერთ განვდენაზე, მაგრამ მაინც მიუწვდომელი... ყოველ წელს ამ დღეს ცდილობ პატივი მიაგო იმათ ხსოვნას, ვინც ქვეყნის ერთიანობას სიცოცხლე შესწირა, მოეფერო ადამიანებს, ვინც 13 თვე და 13 დღე ვაჟაკურად უმკლავდებოდა განსაცდელს და სულის სიმხნევე არც დევნილობაში დაუკარგავს.

წელს „ხსოვნისა და იმედის დღეს“ ცენტრის ოფისში სოხუმელები შეიკრიბნენ. შეხვედრას ესწრებოდნენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის

მოადგილე თამაზ ხუბუა, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ადა მარშანია, ინტელიგენციის წარმომადგენლები — ოთარ ბენიძე, თამაზ ჩოჩია, ნუნუ ერქვანია, დაგმარა ნინიძე, ვალერი ჩიჩუა, გიორგი ჩიქოვანი, ჟანა გაბესკირია, სვეტლანა დავითაია, ნელი ბეთაშვილი, მედეა კვარაცხელია, რევაზ სხულუხია, ლალი მელია, გივი კუპრავა და სხვები. მონვეულთა შორის იყო რეჟისორი გელა კანდელაკი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო აფხაზეთიდან დევნილ ახალგაზრდობას, შექმნა აფხაზეთის კინოცენტრი, ანიმაციური სტუდია, ხელის ჩრდილების თეატრი „ბუდრუგანა-გაგრა“ და დღესაც მათთან ერთად მუშაობს. საღამოს მხატვრულ პროგრამაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის ვანო სარაჯიშვილის



სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებულებმა, ქალაქ გაგრიდან დევნილმა კომპოზიტორმა ლალი საბანაძემ და ჯერ ნორჩმა, მაგრამ თავისი ასაკისათვის საკმაოდ სოლიდური საგასტროლო ტურნეს მქონე პიანისტმა სალომე ჟორდანიამ, რომლის ბაბუას — ვახტანგ ჟორდანიას არაერთხელ უდირიჟორებია აფხაზეთის სიმფონიური ორკესტრისათვის.

შეხვედრა გულთბილ ვითარებაში წარიმართა. დიდი სითბოთი და სიყვარულით ჟღერდა სახელები დაღუპული მეგობრების, ქალაქის კოლორიტებისა, რომლებიც ერთნაირად დააკლდნენ როგორც ქართულ. ისე აფხაზურ მხარეს. რამდენიმე საათით გაცოცხლდა ძველი სოხუმი. მოისმინეს სოხუმელი გიორგი კემულარიას სიმღერა სოხუმზე, რომლის ჩანაწერიც ცენტრს მიაწოდა ვალერი ჩიჩუამ. საუბარში ბუნებრივად აღმოცენდა თემა მომავალი თანაცხოვრების გზებზე, მიტევებაზე. საღამო გახსნა ცენტრის თავმჯდომარე სვეტიცხლანა ქეცხამ. გადატანილი ტრაგედიისა და მისი დაძლევის გზებზე ისაუბრეს თამაზ ხუბუამ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ადა მარშანიამ, ოთარ ბენიძემ, გელა კანდელაკმა, გიორგი ჩიქოვანმა, ვალერი ჩიჩუამ, გივი კუპრაძემ. გთავაზობთ ამონარიდს რამდენიმე გამომსვლელის სიტყვიდან:

გელა კანდელაკი: — დღეს აქ შეკ-

რებილია აფხაზეთის რჩეული ინტელიგენციის პატარა ნაწილი. როდესაც მე ისეთ ხალხთან მაქვს საუბარი, ვინც აფხაზეთი არ იცის, ყოველთვის ვამბობ, რომ საბჭოურ სივრცეში აფხაზეთი, სოხუმი ყოველთვის იყო გამორჩეული თავისი ინტელიგენციით, მათი ინტელექტით. 27 სექტემბერი, მოგეხსენებათ,

ამაღლებს დღეა და ამავდროულად დაცემის დღეცაა. ძალიან სასიამოვნო იყო აქ შესრულებული მუსიკალური ნაწარმოებების მოსმენა. დარწმუნებული ვარ, ამას სხვანაირად მოეუხმენდით სოხუმის მუსიკალურ სასწავლებელში, სოხუმის ფილარმონიაში. მინდა ყველა თქვენგანს, ყველა დევნილს და არადევნილს, ვისაც სულითა და გულით უყვარს აფხაზეთი, წარმატებები ვუსურვო, მალე მომხდარიყოს ჩვენი სულიერი ამაღლება. რა თქმა უნდა, დაბრუნებაც, მაგრამ ეს თავისთავად არ მოხდება. ჩვენი დიდი უბედურებაა, ქართველებისაც და აფხაზებისაც, რომ ერთად დგომა, გაერთიანება გვიძნელდება. მთავარია, ჩვენ სულიერად ვიყოთ მდიდრები, ამაღლებულები, რადგან მატერიალურად რაც უნდა კარგად იყო, სულიერად თუღარიბდები, ეს ნიშნავს, რომ კვდები. სწორედ ეს არის გადასარჩენი და გადარჩენა იქნება მაშინ, როდესაც ჩვენ იმ კუთხეში ვიქნებით, სადაც დავიბადეთ. ბუდიდან ამოვარდნილი თუნდაც ფრინველი, და მით უფრო ადამიანი, ძალიან ცოდვავა. ეს განსაცდელი, რაც მოგვივლინა უფალმა, ღირსეულად უნდა გავიაროთ.

ვალერი ჩიჩუა, აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა კავშირ „ჭერას“ წარმომადგენელი: — ჩვენმა ორგანიზაციამ წელს ევრაზიის ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა.

ჩამოვაცალიბეთ მუსიკალური სტუდია. სადაც უსინათლოთათვის ვახმოვანებთ მხატვრულ ლიტერატურას. ცნობილი არტისტი სოხუმიდან ნუგზარ ყურაშვილი მაღალ პროფესიულ დონეზე ახმოვანებს. ამის შემდეგ ეს ნაწარმოებები ინერება კომპაქტ-დისკებზე და ვრცელდება ბიბლიოთეკებში მესტიიდან თელავამდე. თუ ვინმე აფხაზეთის წარმომადგენელს სურს ჩვენთან თანამშრომლობა, შეუძლია მობრძანდეს და ჩვენ მის შემოქმედებას, მუსიკალური იქნება ის თუ ლიტერატურული, ჩავინეროთ და კომპაქტ-დისკებს გამოვუშვებთ.

თამაზ ჩიჩუა: — მეცხრამეტე წელია, რაც ჩვენ ასე ვიგონებთ ამ დღეს. უდიდესი ტრაგედია იყო, რა თქმა უნდა, მშობლიური ქალაქის, მშობლიური მიწის დაკარგვა, მაგრამ კიდევ უფრო დიდი ტრაგედია იყო ის, რომ ჩვენ დავკარგეთ ადამიანები — ახლობლები, მეგობრები, ნაცნობები და უცნობებიც და არ ვიცით, რატომ დაიკარგნენ. ჩვენ დღეს ვიხსენებთ იმათ, ვისთანაც გვქონდა ურთიერთობა, იგივე ჩვენი ჯუმბერ ბეთაშვილი. ძნელად დასაჯერებელია, ვის შეიძლებოდა ჯუმბერისათვის ესროლა. დღესაც წარმოუდგენელია ჩემთვის, რომ ის, ვინც მას ესროლა, სოხუმელი ყოფილიყო, ან გაგრელი, ან გულრიფშელი, ეს ადგილებია, სადაც მას უშუშავია. ის ისეთი კეთილი იყო, ბუნებით იყო ლამაზი, სული ჰქონდა სუფთა და გული — თბილი, შეეძლო ყველას მიაღწერებოდა, გაეთბო. ასეთი იყო რაულ ეშბაც. გურამ გაბესკირია! იგი მართლაც რომ კოლორიტული პიროვნება იყო, ყველასთან ერთნაირად თბილი, მაგრამ დიდი პატრიოტი, რაც დაამტკიცა კიდევაც, როდესაც ქალაქს ხელმძღვანელობდა. და კიდევ რამდენი?! ნათელში ამყოფოს ღმერთმა მათი სულები.

ცენტრის ოფისში შეკრებილებს ერთმანეთთან განშორება უჭირდათ და მათ სახეებს შეხვედრით გამოწვეული მადლიერების ნათელი დასთამაშებდა...

ბავშვებზე მსახურში

სულიერებისა და კულტურის ცენტრთან არსებული საეკლესიო ნაქარგობის წრის წევრთა ნამუშევრები არაერთხელ გამოიფინა. ამჯერად მათი შემოქმედება აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა წარმოადგინა მცხეთაში, სვეტიცხოვლობისადმი მიძღვნილ ზეიმზე. დევნილი მოზარდების ნამუშევართა გამოფენის მოწყობაში ცენტრს დახმარება გაუწია მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დანესტრუქციის ინიციატივით ქალბატონმა ნინო მამულაშვილმა. ახალგაზრდებმა გამოიფინეს ნაქარგობები და თქვის ნაკეთობანი, რამაც მცხეთელთა და ზეიმის სტუმართა მონონება დაიმსახურა.

ნანული თათარაშვილი, მცხეთის ერთ-ერთი ორგანიზატორი: სვეტიცხოვლობა სრულიად საქართველოს დღესასწაულია. მინდა მცხეთელების სახელით, ყველა კულტურის მუშაკის სახელით, ყველა იმ ადამიანის სახელით, ვინც მცხეთაში შემოვა, სრულიად საქართველოს მივულოცო ეს დღესასწაული. ვუსურვო დიდი ბედნიერება, სიხარული, უღვივი სიყვარული, ღვთის მფარველობა არ მოაკლდეს და დედა-ღვთისმშობლის კალთა ფარავდეს ან და მარადის. სიხარულით ავღნიშნავ იმასაც, რომ წელს ზეიმში მონაწილეობენ აფხაზეთიდან დევნილი მოზარდები.

დარეჯან აპიშაძე, ექიმი: დღეს

ქართველი ერის უდიდესი დღესასწაული — სვეტიცხოვლობაა. შეენიოს უფლის მაღლი ქართველ ერს, უფლის ძალით გამოთლიანდეს, დაუბრუნდეს დაკარგული ტერიტორიები. მე აფხაზეთიდან ვარ. ყველა ქართველს სტიკვა გული ამ კუთხეზე, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რადგან იქ დავიბადე, გავიზარდე, უფრო მეტად მტკივია გული. ღვთის ძალით, ღვთის მადლით მომავალ სვეტიცხოვლობას ქართველ ერს ვუსურვებ გამოთლიანებულ, გაერთიანებულ საქართველოს. შეგვწინოს უფალი, დაგვიფაროს ყოველგვარი განსაცდელისაგან. ძალიან მიხარია, რომ ჩემი თანამემამულე ახალგაზრდები ისეთ ლამაზ და მნიშვნელოვან ხელსაქმეს ეუფლებიან, როგორიცაა თქვა და საეკლესიო ნაქარგობა. ვუსურვებ მათ ეს საქმიანობა მშობლიურ აფხაზეთში გაეგრძელებინოთ.

კულტურულ-განათლებლური შიშველი

სულიერებისა და კულტურის ცენტრ-მა ითავა პირველ სექტემბერს, ერთ-ერთ დასვენების დღეს, აფხაზეთის სტრუქტურების თანამშრომელთათვის შეეთავაზებინა სახელგანთქმული საოპერო მომღერლის ლამარა ჭყონიას საიუბილეო საღამოზე დასასწრები ბილეთები, რაც მათ, აგრეთვე, ქალაქ ბათუმის ახლადრეკონსტრუირებული თეატრის დათვალიერების საშუალებასაც მისცემდა. ჩვენს წინადადებას ოცამდე თანამშრომელი გამოეხმაურა. მოგზაურობამ მათ დიდი სიამოვნება მოუტანა.

ირმა ფირცხალაძე, აფხაზეთის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის აპარატის უფროსი:

— უბედნიერესი ვარ, რადგან წილად მხედა დავსწრებოდი არაჩვეულებრივ ღონისძიებას ბათუმის ახალ ხელოვნების ცენტრში. უფალს ვმადლობ, რომ საქართველოს ჰყავს ისეთი შვილები, როგორცაა ქართველთა სიამაყე, ქალ-

ბატონი ლამარა ჭყონია.

მისი 80 წლის იუბილესთან დაკავშირებული საღამო სრული ანშლავით ჩატარდა. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მისი აღზრდილი არაჩვეულებრივი ვოკალისტები, რომლებმაც ქალბატონ ლამარას ამაგი დაუფასეს და მადლიერების ნიშნად მის იუბილეზე ჩამოვიდნენ.

სცენაზე ერთმანეთს სცვლიდნენ ლამარა ჭყონიას აღსაზრდელები. მათ საუბრებსა თუ სიმღერებში იუბილარის საოცარი ნიჭი და პროფესიონალიზმი თვალსაჩინოდ ცოცხლდებოდა, მისი რეაქცია კი ყოველ საკონცერტო ნომერზე, მისი უშუალოა სცენიდან საოცარი ენერგეტიკით იღვრებოდა და ავსებდა დარბაზს.

ამ გალა-კონცერტზე ჩვენი დასწრების ორგანიზატორებს მინდა გადავუხადო მადლობა, რადგან ეს იყო სულიერი დასვენებისა და ზეიმის არაჩვეულებრივი საღამო.

ირაკლი ფარფალია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სამეურნეო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე:

— დავესწარი შესანიშნავ საღამოს, რომელიც ქალაქ ბათუმში გაიმართა და მიქცენა ცნობილი მომღერლის ქალბატონ ლამარა ჭყონიას 80 წლისთავს. იგი ორი ქვეყნის — საქართველოსა და უკრაინის დამსახურებული ხელოვანი და საზოგადო მოღვაწეა. მისი პედაგოგიური მოღვაწეობის წყალობით თბილისსა თუ ესპანეთში ბევრმა მალა მწვერვალს მიაღწია ოპერის დარგში. რაც ყველაზე მისასალმებელია, ქალბატონ ლამარას გზას წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები — ქალბატონები ეთერი და ნატა. ძალიან ნასიამოვნები დავრჩი საღამოს პროგრამით, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდის მის ორგანიზატორებს და უდიდეს პატივისცემას გამოვხატავ ყველა მონაწილის მიმართ. ასეთი საღამოები ხშირად უნდა ჩატარდეს საქართველოში, რათა გაგვაცნოს ჩვენი საამაყო წარსული და ჩავგვისახოს რწმენა ნათელი მომავლისა.

ნმ. აბრამოვი ხელაიას ხსოვნისათვის

ნმ. ალმსარებელი ამბროსი ხელაია გასული საუკუნის იმ ავბედით წლებში იყო ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი, როდესაც ზეობდა ათეიზმი, ანგრევდნენ და წვადნენ ეკლესია-მონასტრებს, გაუგონარ შეურაცხყოფას აყენებდნენ სასულიერო პირებს.

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ერისკაცობაში ბესარიონ ხელაია) 1861 წელს ზუგდიდის მაზრის სოფელ მარტილში დაიბადა. დაწყებითი განათლება სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში მიიღო, შემდეგ სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. ამ პერიოდში დაოჯახდა, 1887 წელს სოხუმის ეპისკოპოსისგან მღვდლად იკურთხა. მსახურობდა სოხუმში, ახალ ათონსა და ლიხნში. ებრძოდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას აფხაზეთში, პრესაში ილაშქრებდა იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც აფხაზებს ქართველთა სიძულვილს უწერდნენ.

1897 წელს, 36 წლის ასაკში, მამა ამბროსი ყაზანის სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხა. სწავლის დროს ბერად აღიკვეცა. დაწერა დისერტაცია თემაზე: „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში“. 1902 წელს არქიმანდრიტის ხარისხში იქნა აყვანილი და ჭელიშის მონასტრის წინამღვრად დაინიშნა.

არქიმანდრიტმა ამბროსიმ დიდად იღვანა ჭელიშის მონასტრის აღორძინებისთვის. აქ აღმოაჩინა „მოქცევა ქართლისაჲ“ ე.წ. ჭელიშური ხელნაწერი, აგრეთვე წმიდა სახარება, შემდგომში „ჭელიშის ოთხთავის“ სახელით ცნო-

ბილი. 1904 წელს არქიმანდრიტი ამბროსი თბილისში სინოდური კანტორის წევრად და ფერისცვალების მონასტრის წინამღვრად დაინიშნა. იგი, როგორც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის მებრძოლი, 1905 წელს რუსეთში გადასახლეს, 1908 წელს — ახალი ბრალდება წაუყენეს, თითქოს ეგზარქოს ნიკონის სიკვდილში მიეღოს მონაწილეობა. 1911 წელს გაამართლეს, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლის უფლება მაინც არ მისცეს.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1917 წელს, ნმ. ამბროსი ხელაია ჯერ ჭყონდიდის, შემდეგ კი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტად აკურთხეს. 1921 წლის 14 ოქტომბერს მიტროპოლიტი ამბროსი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს.

საქართველოს გასაბჭოებიდან რამდენიმე თვის შემდეგ ეკლესიის დევნის, ქართული ენის უფლებების შეზღუდვისა და ისტორიული მიწების სხვათა განკარგულებაში გადაცემის გამო მან ხელისუფლების სხვადასხვა ინსტანციაში გააგზავნა დოკუმენტები — უშედეგოდ. „ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, უბილწავენ ეროვნულ კულტურას, დასასრულს, მას უბღალავენ წმიდათაწმიდას, სარწმუნოებრივ გრძნობას“, — ამბობდა კათოლიკოსი 1922 წელს გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე გაგზავნილ მემორანდუმში და ქართველი ერის სახელით საქართველოდან ნითელი ჯარის გაყვანასა და რეფერენდუმის მოწყობას ითხოვდა. ხელისუფლებამ არ აპატიო ეს და გაძლიერდა მისი დევნა.

კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი საკათალიკოსო საბჭოს 9 წევრთან ერთად ოთხი ბრალდებით დააპატიმრეს: კონფერენციისადმი მემორანდუმის გაგზავნა, ეკლესია-მონასტრებში დაცული საგანძურის გადაძალა, საეკლესიო ქონების სააღრიცხვო წიგნების არასწორი წარმოება და სამხედრო ტაძრის (რომელიც დღევანდელი მთავრობის სასახლის ტერიტორიაზე იყო) კომკავშირისადმი გადაცემის პროცედურაში საპატრიარქოს წამომადგენლის გამოუცხადებლობა.

ამ ბრალდებებით მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 8 წლამდე, სასტიკი იზოლაციით და მთელი ქონების კონფისკაციით.

1924 წლის ბოლოს გამოცემული ამნისტიით სასჯელი მოეხსნა. გარდაიცვალა 1927 წლის 29 მარტს.

1995 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ კათოლიკოსი ამბროსი წმინდანად შერაცხა წმიდა მღვდელმთავარ ამბროსი ალმსარებლის სახელით.

აფხაზეთის მთავრობამ და უმაღლესმა საბჭომ 17 ოქტომბერს ნმ. სამების ტაძარში, ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში მოაწყო ნმ. ამბროსი ხელაიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. უწმიდესის მოღვაწეობაზე ისაუბრა ჭყონდიდის მიტროპოლიტმა პეტრემ (ცაავა). სიტყვით გამოვიდნენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა გვაზავა, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ისტორიკოსი ჯემალ გამახარია, რომელსაც ეკუთვნის ვრცელი გამოკვლევა ამბროსი ხელაიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე და სხვები.

„ჰაერი, რომელსაც ვსოფოვ კუნძულებზე ვაქვს შერი...“

ვალერი ჩარგაზია აფხაზეთიდან დევნილი მხატვრია, რომელმაც სოხუმის სამხატვრო სკოლა დაამთავრა, მაგრამ ოჯახური მდგომარეობის გამო სწავლა აკადემიაში ვერ გააგრძელა, მხატვრობას მხოლოდ აფხაზეთის ომის შემდეგ მიუბრუნდა. სოხუმში დარჩენილს ურთულესი დღეების დაძლევაში სწორედ მხატვრობა დაეხმარა. ხატავდა ადამიანებისგან დაცლილ ქუჩებს, სახლებს, სანაპიროს, ჰაერს, რომელსაც, მისი აზრით, „მხოლოდ აფხაზეთში აქვს

ფერი და იქ არის ხელშესახები, ზღვას, რომლის საოცარი სილურჯე კიდევ უფრო საოცარ სიმწვანეში გადადის ხოლმე“. 2000 წელს სოხუმის პეიზაჟებით სავსე ტომრები ენგურის ხიდზე საკუთარი მხრებით გადმოზიდა და თან თავისი წილი სოხუმიც წამოიყოლა თითქოს. ახლა თბილისშია, ინტენსიურად ხატავს. ჰქონდა პერსონალური გამოფენები 2000 წელს თბილისში (გალერეა „ჰობი“) და 2008 წელს ბაქოში (გალერეა „იარაღანი“). ასევე მონაწი-

ლეობდა სხვადასხვა ჯგუფურ გამოფენებში. საქართველოს მხატვართა საერთაშორისო შემოქმედებითმა კავშირმა აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებით კავშირსა და აფხაზეთის მხატვართა კავშირთან ერთად 21 ოქტომბერს საქართველოს მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში მისი ნამუშევრების საიუბილეო, 70 წლისადმი მიძღვნილი პერსონალური გამოფენა მოაწყო.

„სიმღერა სამკვრილოზე“

ა.წ. 17-18 სექტემბერს ქ. ხობში ჩატარებულ V საერთაშორისო ფესტივალს ასე ეწოდა. ამ, უკვე ტრადიციად ქცეული ფესტივალის ორგანიზატორები არიან საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობი“, ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

ფესტივალის ფარგლებში მონაწილეობდნენ სამეგრელოსა და სხვა რეგიონის ანსამბლები, ასევე უცხოელი მომღერლები (ყოველ მათგანს თითო მეგრული სიმღერა უნდა შეესრულებინა); გაიმართა სპორტული და გასართობი ღონისძიებები (ნარდი, ჭიდაობა), მოეწყო სახალხო რენვის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. საგანგებოდ აღინიშნა სახელგანთქმული ფოლკლორული კოლექტივის „გორდელას“ 50 წლის იუბილე — ხობის ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმში მოეწყო ექსპოზიცია, შემდეგ კი კონცერტი ცნობილი ქართველი და უცხოელი შემსრულებლების მონაწილეობით.

ხობის ფესტივალს დაესწრო საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

საფესტივალო პროგრამა სამეცნიერო მუშაობასაც მოიცავდა — ახალგაზრდა ფოლკლორისტთა და მუსიკისმცოდნეთა II სამეცნიერო კონფერენცია ორდღიანი სამუშაო რეჟიმით მიმდინარეობდა. საკვლევ საკითხთა შორის აფხაზურ მუსიკასთან დაკავშირებული თემატიკა დომინირებდა, ისეთი, როგორიცაა „აფხაზთა მიგრაციის დასაწყისის დასავლეთ საქართველოში“ (მომხსენებელი ნათია ფიფია), „სამგალობლო ტრადიციისათვის აფხაზეთში“ (მომხს. ნინო კალანდაძე),

„ძუკუ ლოლუას აფხაზური გუნდები“ (მომხს. მარინა კვიციანიძე).

ფესტივალზე განსაკუთრებულად აღინიშნა ძუკუ ლოლუას დამსახურება არა მარტო ქართული, არამედ აფხაზური მუსიკის განვითარებაში. ხალხური სიმღერის დიდი მცოდნე, შემსრულებელი და ლოტბარი, დაულავი მოღვაწე და პატრიოტი, მრავალი გუნდის შემქმნელი ძუკუ ლოლუა, მართლაც, ყურადსაღებია. მის კვალზე იარა ქართველ ლოტბართა არაერთმა თაობამ, მათ შორისაა საქართველოსა და აფხაზეთში მოღვაწე კირილე პაჭკორია და რემა შელეგია, კინი გეგჭკორი და პლატონ ფანცულაია. მათ სახელებთანაა დაკავშირებული XX საუკუნის დასაწყისიდან სალოტბარო საქმიანობის გაშლა აფხაზეთში.

დღეს ჩვენში იშვიათია ანსამბლი, რეპერტუარში აფხაზური სიმღერა არ ჰქონდეს შეტანილი. ქართველი შემსრულებლები წარსულის ფესვებს სამომავლოდ უფრთხილდებიან.

ხობის ფესტივალში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა, რომელიც არაერთი წელია, რაც თბილისში მოღვაწეობს და მას გურამ ყურაშვილი ხელმძღვანელობს.

ხობის ფესტივალზე ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ყურადღების ცენტრში აღმოჩენის ნათელი დადასტურებაა, აგრეთვე, ფესტივალისათვის მომზადებული უმნიშვნელოვანესი ნაშრომი — „ტრადიციული მუსიკა ქართულ-აფხაზურ დიალოგში“ (ავტ. ნინო კალანდაძე და მარინა კვიციანიძე), რომელსაც ერთვის აფხაზური ხალხური სიმღერების კომპაქტ-დისკი, ძველი აფხაზური და თანამედროვე ქართული ახალგაზრდული ანსამბლების შესრულებით. წიგნ-

ში თანმიმდევრულადაა მოცემული სოხუმის კულტურული ცხოვრების პანორამა XIX-XX სს-ების მიჯნაზე, საგუნდო-სალოტბარო მოღვაწეობა სათავეებიდან თანამედროვეობამდე, განხილულია აფხაზური ფოლკლორის ზოგიერთი საკითხი, სამგალობლო ტრადიციები აფხაზეთში, აგრეთვე, ხალხური მუსიკის შეკრებისა და გამოცემის ისტორია, წიგნი გამდიდრებულია მოგონებებითა და ფოტოებით.

სერიოზული კვლევის მიღმა იკვეთება ნაშრომის მთავარი „მოტივი“ — ესაა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენის დიდი იმედი...

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრისა და მისი ხელმძღვანელის ქალბატონ სვეტლანა ქეცბას მოღვაწეობა სწორედ რომ ამ „განცვეტილი ძაფების“ აღდგენის მცდელობაა. ცენტრის მიერ ჩატარებული ღონისძიებები, გამოცემული წიგნები სასახელო წარსულის გაცოცხლებასა და ახალი ტრადიციების ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად, ქალბატონი სვეტლანა აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის დამაარსებელი და მისი პირველი თავმჯდომარეა. ის მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებას, ზედმინევენით იცნობდა მის ნიუანსებს. ამიტომაც ქალბატონ სვეტლანას მოგონებებმა საპატიო ადგილი დაიკავა ზემოთ ხსენებული წიგნის („ტრადიციული მუსიკა ქართულ-აფხაზურ დიალოგში“) ფურცლებზე და ავტორებმა საგანგებო მაღლობა გადაუხადეს.

მარინა კვიციანიძე,
ეთნომუსიკოლოგი

„შირგულად იყო სიტყვა...“

ვაჟა-ფშაველა

გულო, არ გასცდე!

(სიმღერა)

გულო, არ გასცდე, გამაზრდი, კლდეო, კლდე იდეგ სალადა! რა ვენათ, რომ ჯახდი გვეწვევა, მეცა გვევიჯარ ავადა. ცდა გვეუქარწლოთ საწუთროს, სუ დაგებრდებით შავად.

სინათლე ნუმც გაიქრება და სნივი — მოძიეთ ნუგეში, ანდერშა მამა-პანისას ფრთხილად ვინასუ უბეში. ძალნო ცინასო, გვიშეკლეთ, საწუღოთ სუ ჩავფრით წუმბეში!

გულოს სუ მოძიებაჲ, უფალო, იმედს სუ დამინიავებ, დანიახებულს სიცოცხლეს მეტად სუ დამინიახებ; მიძეველე რამა, შენს მადლსა, წამალს სუ დამიგვიანებ!

არ მინდა, თავს ღუშად ვგრძნობდე, უსულოდ გდებულს, ტიალად; სვახნი, ორბნი და კაჭკაჭნი მათრევედენ, მჭამდენ სიარად. სუ გადაბაქცევე, უფალო, შხამისა სასმელ ფიალად!

... ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“
იოანე ზოსიმე

კაცი ვარ, ვაგუცის წესზე გაგეტყვე, ეს რაღა შიო არი?! სიმტკიცე მიჭირს დიადი, ენლა ისეთი დრო არი. გამშორდი, სულით სიდაბლევ, გსაო, მამინებ ვეღარა, - იმ თავად, ჩემო სავალო, შენზე ვეალი ევარა. გაყარულ-გაფხანჯულები დღესაც ისევ მჭირს ბეგრანა. ვიცოდი ძალიან კარგად, ეს უნდა გადამეფარა და დღესაც ისევ მეფლებრივ უნდა ვინაღო ბეგარა. გულო, გაკლდევი, გამაზრდი, ხისლი სუ გადაგეფარა: თუ აქამომე ვაგელოთ, დღეს მტერი გავმტენს ვეღარა.

წმიდა იოთამ ზედგენიძე (+1465) 30 (12.11) თებერვალი

წმიდა იოთამ ზედგენიძე სიმხ- ნევიტ, სარწმუნოებითა და მეფის ერთგულებით ცნობილი აზნაურიშ- ვილი იყო. კეთილმსახურებით აღზ- რდილ წმიდანს კარგად ესმოდა, რომ მირონცხებული მეფის ერთგულება ქვეყნისა და წმიდა ეკლესიის სიყვარ- ულს ნიშნავდა. 1446 წელს საქარ- თველოს მეფედ აკურთხეს გიორგი VIII, ძე ალექსანდრე დიდისა. „ყოვე- ლითა სიკეთითა და სამლო-სამ- ჯედროთი სრულმან და აღმკულმან“ თავისი მეფობის ოცი წელი ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას შეაღია.

მისი მეფობის უამს „განრისხნა ღმერთი ქრისტიანეთა ზედა ცოდ- ვათა ჩუენ ქრისტიანეთათჳს და აღილო სულტანმა მაჰმად კონსტან- ტინეპოლი“. რომის პაპმა პიუს II-მ თურქთა წინააღმდეგ განზრახულ ჯვაროსნულ ომში მიიწვია საქართ- ველოს მეფე, გიორგიც ემზადებო- და ამ ბრძოლისათვის. ამასობაში საქართველოში მდგომარეობა ისევ დაიძაბა. სამცხის ათაბაგი ყვარყ-

ვარე მეფეს განუდგა. 1463 წელს კი, ჩიხორთან გამარჯვების შემდეგ, ქუთაისის გამგებელმა ბაგრატმა იმერეთის მეფედ გამოაცხადა თავი. 1465 წელს გიორგი მეფე სამცხეს წარემართა ყვარყვარე ათაბაგთან საომრად, „რათა შურ-ავგოს ათაბაგ- სა“. ფარავნის ტბასთან დაბანაკე- ბულ გიორგის „შემოუჩინეს განდ- გომილთა მოღალატენი, რათა მოკ- ლან იგი და ტაძრეულნივე თჳსნი“. მეფის ამაღალში მყოფმა იოთამ ზედ- გენიძემ, შეიტყო მეფის წინააღმდეგ არსებული საზარელი შეთქმულების შესახებ და გააფრთხილა იგი. „მე- ფემან არა ირწმუნა“, — წერს ვა- ხუშტი „ქართლის ცხოვრებაში“, — „ვინაჲთგან უგონებელ იყო მათგან ღალატი მეფისა“. როცა ერთგულმა კარისკაცმა მართალი და უბოროტო მეფე მტყუვარ ქვეშევრდომთა ღა- ლატში ვერ დაარწმუნა, შესთავაზა: „უკეთუ ვცბი და არა ჭეშმარიტ არს სიტყუა ჩემი, ან გვედრები, რათა არა მოიკლა თავი ცუდად, არამედ ღამესა ამას მე დავწვე დაგებელსა

შინა შენსა და უკეთუ მომკლან მე მგონებელთა შენთა მეფედ, გარნა სუ დაივიწყებ ძეთა ჩემთა“. მეფე დათანხმდა, თუმცა სრულიად დარ- წმუნებული იყო, რომ იოთამ ზედ- გენიძის ექვიანობის მიზეზი სიყვარ- ული და ერთგულება იყო და მას არავითარი საფრთხე არ ემუქრებო- და. „ღამესა ამას შემოვიდნენ მობი- რებულნი იგი და მოკლეს იოთამ და განერა მეფე მათგან“. დილით, როცა გიორგი სამეფო კარავში შევიდა, მისი საყვარელი კარისკაცი სისხლ- ში ცურავდა. მან სინანულით დაიტი- რა იოთამი, მტრები კი შეიპყრა და „მოსწყვიდნა ყოველნი“. მაღლიერ- მა მეფემ წყალობით აავსო წმიდა იოთამ ზედგენიძის შთამომავლობა. მის ძეს უბოძა სპასპეტობა ქართლი- სა, გორის მოურავობა და ამილახვ- რობა. მეფისათვის თავდადებული ქრისტიანი საქართველოს ეკლესიამ წმიდანთა დასში შერაცხა.

„წმიდათა ცხოვრებანი“, წ. II, თბილისი, 2008

საკლესიო კალენდარი

- 3 ნოემბერი (ხუთშ.) — ღირ. ილარიონ დიდის ხსენება (371-372წ.);
- 4 ნოემბერი (პარ.) — შვიდთა ყრმათა ეფესელთა ხსენება (დაახ. 250წ.);
- 5 ნოემბერი, დიმიტრის შაბათი: — დღესასწაული ყაზანის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა; — მიცვალებულთა ხსენება; — მოც. იაკობის, უფლის ხორციელად ძმის ხსენება (დაახ. 63წ.);
- 6 ნოემბერი, სულთმოფენობიდან 21-ე კვირა — ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის „ყოველთა მწუხარეთა სიხარულის“ ხსენება (1688წ.);
- 7 ნოემბერი (ორშ.) — მონ. მარკიანეს და მარტვირის ხსენება (დაახ. 355წ.);
- 8 ნოემბერი (სამშ.) — დიდმონაშე დიმიტრი თესალონიკელის ხსენება (დაახ. 306წ.);
- 10 ნოემბერი (ხუთშ.) — მღვდელმონაშე ნეოფიტესი, ურბნელი ეპისკოპოსის ხსენება (VII ს.);
- 11 ნოემბერი (პარ.) — ღირ. მამისა ჩვენისა სერაპიონ ზარზმელის ხსენება (900წ.);
- 12 ოქტომბერი (შაბ.) — მონ. იოთამ ზედგენიძის, მეფისათვის თავდადებულის ხსენება (1465წ.);
- 13 ნოემბერი, სულთმოფენობიდან 22-ე კვირა — წმიდათა ათთა ბევრთა (100 000) მონაშეთა ხსენება (1227წ.);
- 14 ნოემბერი (ორშ.) — უვეცხლოთა და საკვირველთმოქმედთა კოზმა და დამიანე ასიელთა ხსენება (III ს.);
- 16 ნოემბერი (ოთხშ.) — ხსენება ღირ. ნიკოლოზ ქართველთა მნათობისა, აკოლუთიათა აღმწერელისა (1308წ.);
- 20 ნოემბერი, სულთმოფენობიდან 23-ე კვირა — 33 მელიტინელ მონაშეთა ხსენება (III ს.);
- 21 ნოემბერი (ორშ.) — კრება წმიდისა მთავარანგელოზისა მიქაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა;
- 23 ნოემბერი (ოთხშ.) — ხსენება წმიდისა დიდისა მონამისა და ძლევაშემოსილისა გიორგისა (303წ.);
- 26 ნოემბერი (შაბ.) — ხსენება წმ. იოანე ოქროპირისა, კონსტანტინეპოლელი მთავარეპისკოპოსისა (407წ.);
- 27 ნოემბერი, სულთმოფენობიდან 24-ე კვირა: — წმ. მოციქულ ფილიპეს ხსენება (I); — **შობის მარხვის აღება!**
- 28 ნოემბერი (ორშ.) — მონ. გურისა და სამონის (299-306წ.) და აბიბოს აღმსარებლის (322წ.) ხსენება; — **შობის მარხვის დასაწყისი!**
- 29 ნოემბერი (სამშ.) — წმ. დიდებულის, ყოვლადქებული მოციქულის და მახარებლის თომას ხსენება (60წ.);
- 30 ნოემბერი (ოთხშ.) — დიდმონაშე მიქაელის, რომელსა ეწოდა გობრონ და მისთა 133-თა მხედართა ხსენება (914წ.);

ჩვენი მოძღვარი

შიძინება - დღე მარადიულ ნეტარ ცხოვრებაში შობისა

გავრძელება/

ადამიანი მარადიულობისთვისაა შექმნილი, მაგრამ ღვთის ნებისაგან გარდასვლის გამო, დროებით სიკვდილს დაექვემდებარა. სწორედ ამიტომ, თვით ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმაც გაიარა ცათა სასუფეველისაკენ მიმავალი სიკვდილის „კარიბჭე“, რასაც ასე უგალობს ჰიმნოგრაფი:

— „ვითარცა ძემან მისმან ჯერიჩინა დადებად ნებსით საფლავსა შინა, ვითარცა მკუდარმან, შემოქმედმან ცათამან, ეგრეთვე დედამან მისმან, მიიღო სასმელი სიკუდილისა“ (იქვე, საცისკრო კანონთა მე-4 გალობის II კანონის ტროპარი).

— „ბუნებისაგან მოკუდავისა იშვე, რომელმან გვიშვე ჩუენ ცხოვრება, და მოინია შენდა დღეს, თანამდები ბუნე-

ბისა და ცხოვრებად მიგცვალა შენ ძისა შენისა ღვთისმშობელო“ (იქვე, საცისკრო კანონთა მე-3 გალობის II კანონის ტროპარი).

სამოთხეში ცხოვრება მანამ იყო უსაფრთხო, სანამ მას სიკვდილზე ფიქრი იცავდა: — „ხოლო ხისაგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა სჭამოთ მისგან, რამეთუ რომელსა დღესა სჭამოთ მისგან, სიკუდილით მოჰკუდეთ“ (დაბ. 2. 17). მაგრამ, მტერმა შეძლო და განაშორა ადამისა და ევასაგან სიკვდილის შიში: „და ჰრქუა გუელმან დედაკაცსა: არა სიკუდილით მოჰკუდეთ“ (დაბ. 3.4), და შედეგად სიკვდილი შევიმოსეთ.

ამგვარად, შევიცნობთ რა ჩვენი დაცემის სიღრმეს, არ უნდა მივეცეთ სასონარკვეთას, და მორჩილებით და მინდობით მივეყვით დედა ეკლესიის სწავლებას,

შედეგად კი პიროვნულ ფერისცვალებას მივეახლოთ, ფერისცვალებას, რომელიც ძირეულად ცვლის ადამიანს (გარეგანი კაციდან შინაგანისაკენ).

სწორედ ამიტომ, მიძინების დღესასწაულს ფერისცვალების დღესასწაული უძღვის წინ, რათა თითოეულმა გაიაზროს პიროვნული ფერისცვალების უაღრესად დიდი მნიშვნელობა, რის გარეშეც სიკვდილის „კარიბჭის“ გავლა უდიდეს განსაცდელს მოუვლენს მოუმზადებელ ადამიანს.

მართლმადიდებელი ქრისტიანი პიროვნული ფერისცვალების შედეგად სიკვდილის შიშის მძლეველიც უნდა გახდეს. მისი სული სიკვდილის წინ ღვთისა და მოყვასის სიყვარულით, სიხარულითა და იმედით უნდა იყოს აღვსილი. მხო-

(გავრძელება მე-10 გვ.)

(დასაწყისი მე-9 გვ.)

ლოდ ასეთ შემთხვევაში მოგვევლინება სიკვდილი ზეცად აღმაველ კიბედ. ამგვარი სიკვდილი მარადიული სიხარულის, ზეციური დიდების და ადამიანის ღმერთთან განუშორებელი ერთობის საწინააღმდეგოა.

როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, ჯეროვანია ფიქრი სიკვდილზე, როგორც მომავალ უმნიშვნელოვანეს მოვლენაზე, რისთვისაც გულმოდგინე მზადება წინადაწინაა საჭირო, რაც უფლის ძალითა და მადლით, სიხარულითა და იმედით გააცისკროვნებს მორწმუნე ადამიანის გონებას. სიკვდილზე ფიქრი დაგვიცავს ყოველივე უჯეროსაგან, იმავდროულად ყოველივე იმისაგანც, რაც სიკვდილს საზარელს ხდის. და თუ ოდენ წუთისოფლით ტკბობის მიზეზით განვიშორებთ „აბეზარ“ აზრს სიკვდილზე, არათუ მხოლოდ სხეულებრივს, არამედ საშინელ, სულიერ, მარადიულ სიკვდილს მივეახლებით.

ამრიგად, მიძინების დღესასწაულის საგალობლებისა და ლოცვების შინაარსიდან გამომდინარე, სიკვდილის წუთებში (ამ ქვეყნიდან მარადიულ ცხოვრებაში გადასვლისას) სულიერი მხნეობისა და სიმშვიდის მისაღწევად, ქრისტიანს ამქვეყნიურ ცხოვრებაში სამი ძირითადი საშუალება გააჩნია:

1. ეკლესიური ცხოვრება და პირადული ღვაწლი (რომელიც რა თქმა უნდა საკმარისი არ არის);
2. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შემწეობა (რაც რწმენასა და ეკლესიურ ცხოვრებაზე ბევრად არის დამოკიდებული);
3. ღვთის განუზომელი მონყალება, რისი იმედიც მუდამყამ უნდა ჰქონდეს თითოეულ მორწმუნეს, და რომლის გარეშეც შეუძლებელია ცხოვრება.

ამგვარად, მიძინების დღესასწაულის საღვთისმეტყველო მნიშვნელობიდან გამომდინარე, ორი უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტი საცნაურდება, კერძოდ ის რომ:

1. მორწმუნეებს ასწავლოს სხეულებრივი სიკვდილისადმი ქრისტიანული დამოკიდებულება, და ეკლესიის წიაღში, ამ გარდაუვალი მომენტის სათანადოდ შესახვედრად მოამზადოს ისინი;
2. გააცნობიერებინოს თითოეულ მორწმუნეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის განსაკუთრებული როლი, სიკვდილის წუთებში მისი შემწეობისა, რისთვისაც ჰიმნოგრაფთან ერთად დაუცხრომლად უნდა განვადიდებდეთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს:

– „საღმრთოსა რა და ყოვლადწმიდასა მცნებასა გარდახვედით, მიწად მივიქცევით, ვინა იგი პირველ დავიბადენით, ხოლო შენ მიერ სძალო, ზეცად ავმალდით ქუეყანისაგან, და სიკვდილისა ხრწნილება განვაგდეთ, ამისთვის განატრით ყოვლადუბიწო“ ;

– „ყოვლადწმინდო ღვთისმშობელო, დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა ნუ დამაგდებ, და კაცობრივსა განზრახვასა

ნუ მიმანდობ, არამედ შენ მეოხ მეყავ და მაცხოვრე მე“;

– „გისხაროდენ ქალწულო რომელმან ჰმევე ღმერთი ხორციითა, ცხოვრებად ნათესავისა კაცთასა, და ბუნებად ჩუენმან ჰპოვა შენ მიერი გამოხსნა, მეოხებითა შენითა წარგვიძეხუ ჩუენ სამოთხედ, ღმრთისმშობელო მარადის კურთხეულო“ და სხვა.

დასაწყისი საეკლესიო წელიწადის საკითხს შევხებით, აქ კი გვსურს მეტი სიცხადისათვის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობისა (8.09) და მიძინების დღესასწაულთა (15.08) შორის არსებული საღვთისმეტყველო კავშირი წარმოვაჩინოთ, რისთვისაც წმ. გრიგოლი პალამას (XIV ს.) სწავლებას მოვუხმობთ, რომელიც საუბრობს რა ღვთისმშობლის შობის დღესასწაულზე, ასე გვმოდღერავს:... „ეხლა შემოდგომაა, და უპირატესი ადგილი ამ თვეს (სექტემბერს) განეკუთვნება, რომელიც ჩვენთვის პირველი თვე და წლის დასაწყისია, მიჯნა სადაც ჩვენი გადარჩენის საქმემ დაიდო სათავე... ესაა პირველი წმიდა დღესასწაული, რასაც ჩვენი განახლება უკავშირდება... რადგან დღეს განგვეხსნა (იშვა – დე. ბ. გ.) ახალი სამყარო და მშვენიერი სამოთხე (ღვთის განცხადების წიაღი – დე. ბ. გ.), რომელშიც განკაცდა, და რომლისგანაც იშვა ახალი ადამი“...

ამგვარად, ლიტურგიკული ღვთისმეტყველების თვალსაზრისით, შემოდგომა და მისი პირველი თვე სექტემბერი, რომელიც არის კიდევ საეკლესიო წლის დასაწყისი, იმავდროულად კავშირშია ჩვენი ხსნის დასაწყისთან – საღმრთო აღმშენებლობის გზასთან. ასე რომ, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობა გახლდათ წინკარი, კარიბჭე, იესო ქრისტეს ხორციელი მოსვლისა. იგი მოასწავებდა ცოდვისა და სიკვდილისაგან დახსნის ჟამის მოახლოებას, რის შესახებაც სწავლება უაღრესად ნათლადაა წარმოჩენილი საეკლესიო ჰიმნოგრაფიაში. ასე მაგალითად:

– „დღეს ბერნისა ბჭენი განიხმთან და ქალწულებისა საღმრთო ბჭე იშუების, მადლს იწყო დიდებულად აღყავებდად დედამან, და ღვთისმშობელსა სოფელსა აღმოუბრწყინებებს, რომლისაგან ქვეყანისანი ზეცისათა შეართნეს საკვირუელად“... (ღვთისმშობლის შობის დღესასწაულის განგების დიდი მწუხრის უფალო ღალადჰყავსა ზედა მე-4 დასდებელი);

– „დღეს უნაყოფო ანნა ჰპობს მშობელსა ღვთისასა... რომლისა მიერ ხორცნი შეისხა მაცხოვრებან, აღსრულებად საღმრთოსა განგებისასა“... (იქვე, უფალო ღალადჰყავსა ზედა მე-6 დასდებელი);

– „დასაბამი ცხოვრებისა ჩვენისა დღეს იქმნა კრებულნი მორწმუნეთანო, რამეთუ ესე პირველთა ნათესავთაგან განჩინებულნი დედა და ქალწული, და ტაძარი ღვთისა ბერნთაგან აღმოსცენდა“... (იქვე, ლიტანიასა ზედა I დასდებელი);

– „გვაუწყე ჩუენ დავით, რასათვის გეფუცა შენ ღმერთი, ხოლო იგი ღალად

დებს, რასათვის იგი მეფუცა აღმოსრულა, რამეთუ აჰა ესერა მუცლისა ჩემისაგან მომცა ქალწული, რომლისაგან ახალი ადამ ქრისტე დამზადებელი იშვების ხორციელად“... (იქვე, დიდი ცისკარი, წარდგომა შემდგომად I ფსალმუნებისა);

– „დღეს ხიდი ცხოვრებისა იშუების რომლისა მიერ კაცთა ჰპოვეს აღმონოდება ჯოჯოხეთით“... (იქვე, საცისკრო კანონთა I გალობის I კანონის ბოლო ტროპარი) და სხვა...

ახლა გულისყურს წმ. გრიგოლი პალამას 37-ე ჰომილიას მივაპყრობთ, სადაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინებასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: ეს უდიდესი მოვლენა გახლდათ... „დასასრული, ან თუ უკეთ ვიტყვიო – დასაწყისი და ძირი ადრე აღსრულებულ სასწაულთა, – ღვთის აღთქმის აღსრულება, რომელიც იოაკიმესა და ანას მიეცათ“...

იგივე აზრია გამოხატული ჰიმნოგრაფის მიერაც:

– „ულირდა მხედველთა სიტყვისათა და მსახურთა, რათა იხილონ აღსრულებად რომელი იგი ხორციითა დედა არს მისი, რამეთუ დასასრული საიდუმლოსა მას შინა დადგრომილ არს,“... (მიძინების დღესასწაულის განგების „ლიტანიასა ზედა“ I დასდებელი);

– „განზრახვა პირველ-საუკუნეთა ღვთისა ჩვენისა მოვალს აღსრულებად“... („Совет Превечный Превечнаго Бога во исполнение грядет,“... ტაძრად მიყვანების წინადღესასწაულის საცისკრო კანონთა I გალობის II ტროპარი).

ამდენად, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობისა და მიძინების დღესასწაულთა საღმრთისმსახურო ინტერვალთ, დედა ეკლესია ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულების გზას სახავს, თითოეულის ამ ქვეყანაზე მოვლინიდან მის აღსრულებამდე.

მართლაც და, გონიერი მზერით მიმოვიხილავთ რა ყველა იმ საშუალებას, რასაც დედა ეკლესია ფლობს მორწმუნეთა ნებელობასა, გულსა და გონებაზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით, სავსებით მართებულად, ეკლესია დედის მუცელს შეიძლება შევადასოთ. ჩველი მუცლადყოფნის პერიოდში ვითარდება და შემდეგ იბადება ამქვეყნიური ცხოვრებისათვის. მსგავსად ამისა, ეკლესიის წიაღში ადამიანი (ნათლისღებით) სულიერად იშვება, ხოლო საიდუმლოთა მღვდელმოქმედებით, ღვთისმსახურებაში მონაწილეობით, საეკლესიო წესწვეულებების აღსრულებით, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, ანგელოზებისა და წმიდანთა მეოხებით, სულიერად იზრდება, ძლიერდება და ვითარდება, რითაც მისი სული უნარს იძენს, მუდამ უფლის სიახლოვეს მყოფებოდეს, და ამ ქვეყნიდან გასვლის შემდეგ, იშვება კიდევ მარადიული ნეტარი ცხოვრებისათვის. ამინ!

წმიდა სამების ლავრის მღვდელმსახური დეიანოზი ბიძინა (ბუწია)

გამოფენის მცხეთაში



„პაერი, რომელსაც მხოლოდ აფხაზეთში აქვს ფერი...“





საეკლესიო კოლევია (ყახიუბნის) მონასტერი

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ალექსანდრე ფარფალია, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცილო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“

მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 93-17-20, 895-41-21-70. ტირაჟი: 500 ცალი